საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად დირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნოპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნავა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ცფილ. ფასი 500ს მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათი, ნოემბრის 11

1922 წ.

გულდათუთქულნი დედ-მამა: პელაგია გრიგოლის ასული და კლიმენტი დავითის-ძე, ანდრია და გიორგი კლიმენტის-ძე ლორთქიფანიძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ დაუვიწყარის

დათიკო ლორთქიფანიძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას 12 ნოემბერს ვერის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაზე.

№ 342. 2—1

● რუსთაველის თეატრი ●

სახელმწიფო აკადემიური დრამა

შაბათს 11 ნოემბერს

შ. დადიანის

ვარამი

დადგმა ანდრონიკაშვილი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

კრ. 528 2—2

სახელმწიფო აკადემიური თეატრი

ოპერა

შაბათს 11 ნოემბერს

ჯამბაზები და ბალეტი

კვირას 12 ნოემბერს

აბესალომ და ეთერი

დასაწყისი სრულ 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

კასსა ღიაა 11—2 სა-მდე და საღამოს 6-დან წარმოდგენის დამთავრებამდე.

კრ. 527. 1—1

კვირას, 12 ნოემბერს, ქალაქის

აღმასრულებელი კომიტეტის ეკელა გოგირდის აბანოები ღია იქნება მთელი დღე. **შემოსავალი გადაეცემა ქუჩის გავშვების პატრონოგის ფონდს.** ფასები გადიდებული იქნება 50%-ით.

№ 132—2—2 ქალაქის აბანოების გამგე

შაბათს, 11 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ძალაქის აღმასკომის შენობაში

დანიშნულია მორიგი სხდომა

ქალაქის აღმასკომის.

განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

ვთხოვთ ყველა ამხანაგებს გამოცხადდნენ თავის თროზე.

136 2—1 მდივნის მაგ. თიკანაძე.

მდგომარეობის გართულება

ახლო-აღმოსავლეთში მდგომარეობა კვლავ გართულდა. სამშვიდობო კონფერენციის კომბინაციების ნაცვლად იარაღის აღმართვის საკითხი დაისვა.

ანტანტის სახელმწიფოების ცდა სულთანის არსებობის გამაგრებისა სტამბოლში, რომ ამით ანგორის მთავრობის გვერდით ყოფილიყო ფორმალურად სტამბოლის მთავრობა, დასრულდა დამარცხებით. ოსმალეთის ხალხმა გადაყენა სულთანის მთავრობა და ამით ფაქტის წინაშე დადგა ანტანტის ძალები.

სულთანის გადადგომით სავსებით მოიხსნა ანტანტის ძალებისათვის ფორმალური საბაბი სტამბოლისა და მისი რაიონის ოკუპაციისა და პირისპირ წარმდგა ოსმალეთი და ანტანტა ურთიერთ შორის.

ანგორის მთავრობამ თავისი ხელისუფლების დამყარება შეეცადა სტამბოლში. ჯ გაგზავნა ორი ნოტა მოკავშირეთა მიმართ, პირველ ნოტაში ის მოითხოვს, რომ ანგორის მთავრობამ, რომელიც იბერს სტამბოლის მთავრობის ადგილს, უნდა გადაგზავნოს სტამბოლში თავისი მოხელენი და სამხედრო გარნიზონიც, ამიტომ ანგორის მთავრობა საჭიროდ ადარ სთვლის სტამბოლის ოკუპაციას. მეორე ნოტაში ანგორის მთავრობა თხოულობს, რომ მოკავშირეთა სამხედრო გემები უნდა შემოდგომოდენ სტამბოლის ნავთსადგურში მხოლოდ ანგორის ხელისუფლების ნებართვით.

ანგორის მთავრობა მოითხოვს, რომ მას გადაეცეს ყველა რკინის-გზები, რაც მდებარეობს ოსმალეთის ტერიტორიაზედ.

„პტი პარიზიენის“ ცნობით, 8 ნოემბერს მოკავშირეთა კომისრები გადასცემდენ ისმეტ-ფაშას ულტიმატუმს, რომელიც აფრთხილებს ანგორის მთავრობას იმ შემთხვევაში, თუ ის დადგება „ფაქტის წინაშე დაყენების“ პოლიტიკას.

რადიო გვაუწყებს, რომ მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა კატეგორიულად უარყვეს ანგორის მთავრობის მოთხოვნილებანი, რომ მოკავშირეთა ჯარები გაყვანილ ყოფილიყო სტამბოლისაგან. უმაღლესმა კომისრებმა აუწყეს ანგორის მთავრობას, რომ 1918 წელში, მუდროსში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებისა და მუდანიის კონფერენციის შეთანხმების ძალით მოკავშირენი განგრძნობენ ოკუპაციას შეთანხმებებში აღნიშნულ ყველა პუნქტებზედ.

შექნილმა მდგომარეობამ გამოიწვია არეულობა სტამბოლში. თურქების უბნებში გამართა დემონსტრაციები ევროპიელების წინააღმდეგ. მდგომარეობა ქალაქშიც იმდენათ გამწვავებულია, რომ ადგილი აქვს შეტაკებებს, რის მსხვერპლი უკვე არის, მოკავშირეთა წარმომადგენლები იღებენ ზომებს „წესრიგის“ აღ'ადგენად.

ლონდონის მთელი ყურადღება დღეს მიქცეულია ახლო-აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობისაკენ. ინგლისის უმაღლესი კომისარი აღჭურვილია თავისუფალი მოქმედების უფლებით მოკავშირეთა კომისრების მიერ და იგი მოქმედობს ისე, როგორც საჭიროდ სცნობს.

საფრანგეთის წრეებშიაც ტრიალებს ის აზრი, რომ ქემალის კომისრებს უნდა მიენდოს „წესრიგის“ აღდგენა და უნდა მიენიჭოს მათ თავისუფლად მოქმედების უფლება.

როგორც ვხედავთ მდგომარეობა სერიოზულია. დიპლომატიური ფარდა მაღლაა აწეული და ძალთა დაპირისპირება სწარმოებს უშუალოდ. ცხადია ლონდონის კომფერენცია, რომელიც გადადიდო, მოხსნილადაც უნდა ჩაითვალოს, თუ ადგილი არ ექნა ახალ ნაბიჯს მოწინააღმდეგეთა ურთიერთობის შეცვლის მიზნით. ასეთი ნაბიჯი ჯერ-ჯერობით არ არის მოსალოდნელი. ანგორის მთავრობამ უპასუხოდ დატოვა სტამბოლის მთავრობის წინადადება, რომ შემარიგებელი ხაზი აეღო მას ახლო აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტისათვის.

ოსმალეთის ხალხისათვის არ არსებობს უკან დასახევი ადგილი. იგი ან უნდა დაუბრუნდეს კოლონიურ მდგომარეობას ან უნდა განაგრძოს ბრძოლა დასავლეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ოსმალეთის ხალხმა და მასთან ერთად მთელი ქვეყნის მშრომელმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაინახა დღის სინათლეზედ იმპერიალისტების „მშვიდობიანობა“, რომელსაც ვითომც სურს სრუტეების ნეიტრალიზაცია და „ნორმალური“ ურთიერთობის დამყარება სახელმწიფოთა და ერთა შორის.

ცხადია ის გარემოება, რომ ახლო აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტა მომენტი სწორედ დღეს ეადგა მთელი თავისი სიცხადით და უკვე მოიხსნა ყოველივე პალიატიური ზომები ამ საკითხის გადაწყვეტისათვის. მოწინააღმდეგენი პირისპირ არის წარმდგარი ურთიერთშორის და ბრძოლამ უნდა გადაწყვიტოს ახლო-აღმოსავლეთის ბედი.

აშკარაა, რომ ანტანტის ქვეყნების კატეგორიული პასუხი ანარეკლია მათი დიდი ინტერესისა სტამბოლში, რომელსაც ისინი ადვილად არ დათმობენ. ისიც ცხადია, რომ ანგორის მთავრობაც არ ჰყრის იარაღს და მოითხოვს მას, რაც მის საკუთრებას შეადგენს.

ამ გართულ მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ოსმალეთის მიერ სტამბოლის დაჭერა დაუყოვნებლივ, რა თქმა უნდა ეს არც ისე ადვილად შეიძლება მით უფრო, რომ ოსმალეთის ხალხი დაქანცულია ბრძოლით. მიუხედავად ამისა სხვა გზა ოსმალეთის ხალხისათვის არ არსებობს.

ხ.—ელი.

განმარტებისათვის

დაგვიწყებული პასუხი ამხ. გ. კ.-ს.

როგორც მკითხველებს მოეხსენება ჩემსა და „კომუნისტის“ თანამშრომელ ამხ. გ. კ.-ს შორის, დაახლოებით ამ ორ თვის წინთ, ადგილი ჰქონდა პოლემიკას „თანამშრომლობის საკითხის“ შესახებ.

ჩემს უკანასკნელს ფელეტონში (იხ. „ტრიბუნა“ № 289) მე აღვადგინე სიტყვორე ჩემს მიერ წამოყენებულ დებულებისა და ჩემი წერილიდან ამოღებული ციტატების დამახინჯებას მივაქციე ყურადღება, რადგან ამხ. გ. კ. 32 სიტყვიან ციტატიდან 21 სიტყვას იღებდა, ხოლო 30 სიტყვიან ციტატიდან 15 სიტყვას, რომლის შემდეგ მას გამოჰყავდა უმართებულო დასკვნა.

მე ვფიქრობდი, რომ ამხ. გ. კ. თუ კიდევ ერთ ვერ ვერ ვერ ... პოლემიკის გაგრძობას. მას პირდაპირ უნდა აღიარებია თავის დანაშაული და საკითხის სწორად დასმის ნიადაგზე უნდა წარემართა საწინააღმდეგო აზრთა წყობა. მიუხედავად ამისა მან გვერდი აუარა ორ უმთავრეს დებულებას, რომელთა გაურკვევლად პოლემიკა მთელ თავის შინაარს კარგავს, ეს ორი დებულება შეადგენდა შემდეგს: პირველი—ჩემი წერილების უმთავრესი დებულება იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ვერ შესძლო ერთვნული საკითხის სათანადოთ გადაჭრა ჩვენში და ამით მუშათა წრეების ყველა ნაწილი ვერ დაუკავშირდა საბჭოთა წყობილების განმტკიცების საქმეს. მეორე—რომ მან (ამხ. გ. კ.-მ) დაამახინჯა ჩემი აზრი და ციტატებიდან ნახევარზედ მეტი სიტყვების გამოკლებით გამოიყვანა შემცდარი დასკვნა, რომ ვითომც მენშევიკმემარჯვენე ფედერალისტებთან თანამშრომლობის პლატფორმას ვაყენებდით.

ამხ. გ. კ.-ს ეს ორი დებულება როგორმე უნდა გადაელახა თუ ეს ობიექტიურად შესაძლებელი იქნებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლემიკა დაკარგავდა აზრს, რადგან იგი დაშორდებოდა საკითხის უმთავრეს საფუძველს.

ჩვენ განზრახ დავაგვიანეთ ამხ. გ. კ.-ესადმი პასუხი, რადგან „კომუნისტის“ 2 სექტემბრის ნომერში ის დაგვპირდა, რომ „რაც შეეხება საკითხს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში „საბჭოთა რუსეთის გაერთიანების შესახებ და „ტრიბუნის“ კამპანიას—ჩვენ ცალკე შევეხებით მათო“.

ამხ. გ. კ.-ს სწორედ იქედან უნდა დაეწყო ლაშქრობა, სადაც „ტრიბუნამ“ გამართა კამპანია, სახელდობრ, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ფსიხოზიდან, რადგან მთელი არქიტექტონიკა ჩემ მიერ წამოყენებულ „პოლიტიკის რევიზიისა“ ამ მთავარ საფუძველს ემყარებოდა.

ჩემი წერილების გამოსავალი საფუძველი გახდა სწორედ ის, რასაც ამხ. გ. კ. გვერდი აუარა და რის გარეშეც „ცალკე“ განიზრახა. მაგრამ ჯერ ორი თვეზედ მეტია და ჩვენ ვერ დავინახეთ ამხ. გ. კ.-ს მიერ „ცალკე“ განხილული ამიერ-კავკასიის ფედერაციაში საბჭოთა რუსეთის გაერთიანება.

ამხ. გ. კ.-ს უკანასკნელი წერილების გარჩევას არ შეუძლებია იმ უბრალო მოსაზრებისა, რომ მან ერთი მხრით ჩემ მიერ დასმული საკითხის საფუძველს გვერდი აუარა, ხოლო მეორე მხრით ჩემი წერილები დაამახინჯა, რის შემდეგ პოლემიკის გაგრძობა შეუძლებელია.

ჩემი წერილების გამოსავალი საფუძველი სწორედ ის იყო, რისი გარჩევაც ამხ. გ. კ. დაგვპირდა „ცალკე“ და დაპირება კი არ შეასრულა. ამის ილუსტრაციისათვის ამხ. გ. კ.-ს მოვაგონებ „ტრიბუნის“ № 275-ში მოთავსებულ ჩემს ფელეტონს, რომელიც ეხება ამიერ-კავკასიის ფედერაციას, არკვევს საბჭოთა რუსეთის ურთიერთობას, რუსეთის გაერთიანებას ამიერ-კავკასიაში. ცენტრალისტურ ტენდენციას და დასკვნის:

„ღღეს ჩვენ არ ვიცით არც ჩვენი კომპეტენცია, არც ამიერ-კავკასიის ფედერაციის კომპეტენცია და არც საბჭოთა რუსეთის კომპეტენცია. ყოველივე ისე არეული და მოუწესრიგებელია და ამასთანავე ფაქტიური მდგომარეობა იმ მიმართებით განვითარებული, რომ ჩვენ ველარ ვპოულობთ იმ საფუძველს, რომლის მიხედვით ამიერ-კავკასიის ფედერაცია დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოა, ხოლო მისი შემადგენელი ნაწილები არა სუვერენული სახელმწიფონი. არსებითად ჩვენ პროვინციალიზმის წინაშე ვდგევართ. ჩვენ ხელში შეგვრჩა ლამაზი წარწერები საბჭოების და კომისარიატების, აგრეთვე საპატიო სახელი სოციალისტური რესპუბლიკის, ხოლო შინაარსი დაშორდა ფორმას და სულ სხვა მიმართულება მიიღო.

ჩვენ ამ შემთხვევაში უფუძველოდ ვფიქრობთ ეკონომიურ მხარეს ამ საკითხისას. ჩვენ აქ გვაინტერესებს ის მწვავე საკითხი სახით რომელიც ერთვნული საკითხის არის წარმომდგარი ამიერ-კავკასის მაშტაბით.

ამ მხრით, გარდა აღნიშნულ უფლებრივ ანარქიისა ან ანარქიული უფლებისა აღსანიშნავია ენის საკითხი. ეს საკითხი იმდენათ ელემენტარი, იმდენად მარტივი და უდაოა, რომ ამის შესახებ დაპარაკი სოციალისტურ რესპუბლიკაში სიწითლესაც უნდა იწვევდეს.

საქმის ვითარება კი უნუგეშო სურათს წარმოადგენს. ენის საკითხი—კულტურული ავტონომიის საკითხი—არ არის მოწესრიგებული იმ სახელმწიფოში, რომელსაც ხელისუფლება ხშირად დ მოუკიდებელსა და სუვერენულ სახელმწიფოსაც კი უწოდებს“.

ამას ვწერდით ჩვენ ამ ორი თვის წინეთ და ვხლა თვით ამხ. გ. კ. ხედავს, რომ ცხოვრების სინამდვილემ მწვავედ დააყენა საბჭოთა რესპუბლიკების რესპუბლიკების ურთიერთობის გამოჯანის საკითხი და უკვე ვდგევართ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის პროექტის წინაშე, რამაც უნდა მოახდინოს რესპუბლიკათა კომპენტენციის ნორმიზაცია და შექმნას ნორმალი პირობები სახელმწიფოთა ურთიერთობისათვის. სხვა საკითხია ის, რამდენათ უწყობს ხელს ხსენებული პროექტი „ნორმალი პირობების“ შექმნას მაგრამ კომპენტენციის გამოჯანა მაინც აუცილებელი გახდა.

ამას ავღნიშნავ განმარტებისათვის, რადგან ამხ. გ. კ. უკანასკნელ წერილებს შემდეგ ჩემი დუმილი თანხმობის ნიშნად არ იქნეს მიღებული პატივცემული მკითხველისაგან.

სერ. ამაღლობელი

ქურნალ-გაზეთებიდან

ძალა-უფლების ფაშისტების ხელში გადასვლის დაწვრილებითი ამბები. ფაშისტების ნეაპოლის ყრილობაზე მუსილინმა სხვათა შორის განაცხადა. „ვფიცავ, რომ ძალა-უფლება ჩვენ ხელთ უნდა გადმოგვეცეს, ან და მას ძალით მოვიპოვებთ“. მომავალ კაბინეთში მუსოლინი ნ პორთფელს მოითხოვდა და პირადათ კაბინეტში შესვლას არ აპირებდა. ახლა კი მთავრობაში 7 ფაშისტია და თვით მუსოლინი კი პრემიერი. მუსოლინის პროგრამა მოითხოვს პარლამენტის გაშვებას, საარჩევნო უფლების რეფორმას და ახალი არჩევნების დაუყოვნებლივ დანიშვნას. მუსოლინის სიტყვით, მას არ სურს პარლამენტის სრული გაუქმება და ისწრაფვის მხოლოდ სახალხო წარმომადგენლობის რეფორმისაკენ. მუსოლონის პროგრამის ერთი მთავარი პუნქტი არის—საფინანსო რეფორმა. ფაშისტურ გადატრიალებას ხელს უწყობდა დანარჩენი ბურჟუაზიული პარტიების საქციელი. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ ბურჟუაზიული პარტიები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ „ცენტრის ბლოკის“ შექმნის მიზნით, რომელიც მიმართული იქნებოდა ფაშისტებისა და კომუნისტების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ფაშისტური მოძრაობის გაძლიერებამ საქციელი შეუცვალა ცენტალურ პარტიებს; სახალხო პარტია „პოპოლარი“ მუსოლინს დაუხვდა. ბურჟუაზიული ლიბერალების ყრილობა ბოლონში აგრეთვე მარჯვნივ გადაიხარა. ჯიოლიტიც ფაშისტებთან თანამშრომლობის დამცველად გამოვიდა და მათგან მხოლოდ კონსტიტუციისადმი დამორჩილებას ითხოვდა. მემარცხენე ლიბერალების ბელადი ნიტტიც ქებას ასხამდა ფაშისტებსა და მათ მოძრაობას „დიდ მორალურ და სოციალურ მნიშვნელობას“ აძლევდა. როდესაც ნეაპოლის ყრილობის შემდეგ დაიწყო ფაშისტური მოძრაობა, ფაქტას მთავრობა შეეცადა შეეჩერებია მისი განვითარება და გამოაცხადა საალყო წესები. მიუხედავთ ამისა მეფემ, რომელიც ფაშისტების მხარეს დად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა, უარი განაცხადა ხელი მოეწერა სასლყო წესების დეკრეტზე, ყოველივე ამან ადრევე უზრუნველყო ფაშისტების გამარჯვება.

გველი კანს იცვლის. ბერლინის მენშევიკებმა გადასწყვიტეს „შეიცვალონ ტაქტიკა“, მაგრამ თუ რაში უნდა გამოიხატოს ეს,— ძნელი გამოსარკვევია. „სოციალისტიჩესკი ვესტნიკი“ სწერს: „ვისწრაფვით რა ბოლშევიკიური“ რეჟიმის დემოკრატიული რესპუბლიკის რეჟიმით შეცვლისაკენ, ჩვენ ძველებურად წინააღმდეგი ვართ ბოლშევიკური ძალა-უფლების ძალით დამხობის ტაქტიკისა; ძველებურათ, ვართ რევოლიუციონური პარტია კაპიტალიზმის მიმართ, ვრჩებით ამ ძალაუფლებისადმი დამოკიდებულებაში არა რევოლიუციის, არამედ ოპოზიციის პარტიათ. რატომ? იმიტომ, რომ 5 წლის რევოლიუციის შემდეგ შექმნილ საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობაში, ბოლშევიკების ძალით დამხობის შედეგად არას გზით არ შეიძლება მოხდეს ის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელსაც მუშათა კლასი საჭიროებს. ჩვენ გადაჭრით წინააღმდეგი ვართ „დამხობის“ ტაქტიკის იმიტომ, რომ დემოკრატიის მონაპოვართა თვალსაზრისით, ეს ტაქტიკა უიმედოა, კიდევ მეტი—ძალზე მავნებელია; მას შეუძლია დააჩაროს კრიზისი, რომელსაც ბოლშევიკური რეჟიმი განიცდის, არა დემოკრატიული რესპუბლიკის რეჟიმის, არამედ ბონაპარტიზმის სასარგებლოდ, რომლის თავიდან აცილება შეადგენს პროლეტარიატის უდიდეს ინტერესს“. კადეტების „რუელი“ სკეპტიკურად უყურებს ამ გადასინჯვას: „მარტოვისებურ რუს სოციალ დემოკრატებმა გადასწყვიტეს თავისი ტაქტიკის გადასინჯვა. დიდი ხანია დრო არის —შესაძლებელია შევყვიროთ. მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს უნაყოფოა და უშედეგო იმ უბრალო მიზეზით, რომ ესდროები ათას განუყოფელ ძაფებით დაუკავშირდენ ბოლშევიკებს (ტყუილა კი არ განსხვავდებიან ინტერნაციონალები ერთმანეთისაგან ნაწევრებით: 2 ნახევარი და 3), და ამიტომ იძულებული არიან გაიზიარონ ბოლშევიკების ბედი“.

მოწოდება კაპიტალის წინააღმდეგ შესატევად. პარიზის ცნობებით, საფრანგეთის კომპარტიის ახლად არჩეულმა აღმასკომმა დაადგინა გააგზავნოს პროფკავშირების კომისიაში პარტიის ბიუროს წევრები ფროსიარ და კერრა. თანახმად კომპარტიის პარიზის ყრილობის დადგენილებისა, მთლიანი ფრონტის საკითხის შესახებ, პარტიის ახალ აღმასკომმა დადგინა გაუწოდოს პროლეტარულ ორგანიზაციებს 3 საათის სამუშაო დღის დასაცავად და სამუშაო ხელფასის შემცირების წინააღმდეგ საბრძოლველად.

კომპარტიიდან გამორიცხულნი ახალ პარტიას ქმნიან. პარიზის ცნობებით, პროვინციალურ კომუნისტურ ორგანიზაციების 50 დელეგატმა, რომელთაც ხელმძღვანელობდენ კომპარტიიდან გამორიცხული ვერფეილი და სელლიე, შექმნა ახალი პარტია „საფრანგეთის სოციალისტურ რევოლიუციონური მუშების ფედერატიული კავშირის“ სახელწოდებით. ახალი პარტიის საორგანიზაციო კომისიაში ვერფეილის და სელლიეს გარდა შედიან ემილ დიუმა, მარსე და მთელი რიგი მერებისა. კომისიის საპროგრამო დეკლარაცია აცხადებს, რომ ახალ პარტიას არა აქვს განზრახვა არც კომუნისტეტისა და არც სოციალისტების წინააღმდეგ გამოვიდეს.

კომინტერნის მეოთხე კონგრესი

კონგრესის გახსნა. 6 ნოემბერს, საღამოს 8 ნახ. საათზე პეტროგრადში, ლიბკნეხტის სახელობის სახალხო სახლში დიდი ზეიმით გაიხსნა კომინტერნის კონგრესი კლარა ცეტკინას მოკლე შესავალი სიტყვით. ცეტკინამ აღმასკომის სახელით შეიტანა წინადადება, არჩეულ იქმნას კონგრესის თავმჯდომარეთ ამხ. ზინოვიევი. წინადადება ერთხმად და მეუხარე ტაშით იქნა მიღებული.

ამხ. ზინოვიევის წინადადებით ერთხმად არჩეულ იქნა კონგრესის პრეზიდიუმი: კოლაროვი (ბალკანეთის წარმომ.), ცეპლო (სკანდინავიის), კატაიამა (იაპონიის), კლარა ცეტკინი (გერმანიის), კარრი (ამერიკის), ბარსკი (პოლონეთის), ლენინი და ტროცკი (რუსეთის).

ამხ. ზინოვიევის სიტყვა. ამხ. ზინოვიევმა დაიწყო თავის შესავალი სიტყვა და მოუწოდა კონგრესს პატივი სცეს ყველა ქვეყნის რევოლიუციისათვის დაღუპულ აქტანაგების ხსოვნას. კონგრესმა ფეხზე ადგომით პატივი სცა დაღუპულების ხსოვნას.

„იმ პერიოდმა, რომელიც ჩვენ გვაშორებს მესამე კონგრესს, დაგვანახა, რომ ჩვენი თაობა მოწამე ხდება მსოფლიო პროლეტარიატის და სოციალიზმის გამარჯვებისა. მესამე კონგრესის შემდეგ, საერთაშორისო კაპიტალმა გეგმა შეწონილი გამოსვლა დაიწყო. ბევრი იქვიანობდა გაუძლებენ თუ არა ახალგაზრდა კომპარტიები ბურჟუაზიის შემოტევასო. მაგრამ კომინტერნმა ძლევამოსილებით დაამარცხა რეაქციის შემოტევა. კომინტერნი ცოცხლობდა და მომავალშიც იცოცხლებს, მას არ ეშინოდა ბურჟუაზიის მეორე ინტერნაციონალის იერიშებისა. ეხება რა მეორე და ორნახევ. ინტერნაციონალების გაერთიანებას, ზინოვიევი ამბობს: „შემთანხმებულ ინტერნაციონალების გაერთიანება ობიექტიურად ხელსაყრელია რევოლიუციონურ მოძრაობისათვის. ეხლა ცხადია, რომ ორივე ეს ინტერნაციონალი (გამოტოვებულია). გაერთიანებული სოციალ დემოკრატები დახმარებას უწევენ თეთრ ტერორს, უმზადებენ გზას ახალ (დამანჯინჯებულია). მუსოლინს, რომელიც არის ბურჟუაზიის უკანასკნელი დასაყრდნობი. მსოფლიო რევოლიუციისათვის ობიექტიური პირობები მზად არის, არ არის მხოლოდ სუბიექტიური პირობები. ესდროები ხელს უშლიან კლასიურ შეგნების გაფანტარებას. მათ წინააღმდეგ ბრძოლა არის უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიის უკანასკნელ აგენტების წინააღმდეგ.

ეხება რა ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, ზინოვიევი ამბობს: „რუსეთის კომპარტია დარწმუნდა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის აუცილებელი ეტაპი მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციისათვის და რომ იმის თავიდან აცილება შესაძლოა მხოლოდ გაფანტარებულ საბრძოლველო ქვეყნებში. ახალი ეკონომიური პოლიტიკა არ არის უძლურების გამომხატველი, იგი არის განსაზღვრული პოლიტიკა, რომელიც გამოწვეულია პროლეტარიატის და გლეხობის ურთიერთთანხმობით. კომინტერნი ფიქრობს, რომ ცენტრალურ ევროპაში, ბალკანეთში და სხვა ქვეყნებში პროლეტარული რევოლიუცია აგრეთვე გაიგლის ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ეტაპს. მუშათა კლასი ერთია.

კომპარტიამ რუსეთში დაიპყრო პროლეტარიატის უმრავლესობა. მთელი სიძნელე უკან დარჩა. საბჭოთა რუსეთი ამაყობს, რომ შეუძლია დახმარება გაუწიოს მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას. კომინტერნი მოუწოდებს ყველა კომპარტიებს, რათა მეთოდიურად დაიპყრან მათ მუშათა მასების უმრავლესობა.

კომუნისტური პარტიების დაარსება იაპონიაში, ინდოეთში, ოსმალეთში და ჩინეთში—არის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა. აღმოსავლეთში არის მსოფლიო რევოლიუციის დიდი რეზერვი. აღმოსავლეთის ხალხთა ნაციონალური მოძრაობა არის ამავე დროს ბრძოლა მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ. თვით დრო აკეთებს ჩვენ საქმეს. გაუმარჯოს კომინტერნს, გაუმარჯოს რუსეთის პროლეტარიატს ძირს. მსოფლიო ბურჟუაზია!

ამხ. ლენინის მიხალმება. სიტყვის შემდეგ ამხ. ზინოვიევი აქვეყნებს ამხ. ლენინის მისასალმებელ დეპეშას, რომელშიც ნათქვამია: „დიდათ ვწუხვარ, რომ არ შემიძლია დავესწრო კონგრესის პირველ სხდომას, მიუხედავად იმ გიგანტიურ სიძნელეთა, რომელიც კომპარტიას ედგება, კომინტერნი მაინც მტკიცდება, საბჭოთა ხელისუფლება დღესასწაულობს 5 წლის თავს. იგი კიდევ უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე. სამოქალაქო ომი დამთავრდა. პირველი სამეურნეო გამარჯვება დაფიქსირა. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. გაუმარჯოს კომინტერნს“.

ამხ. ტროცკის მიხალმება. აქვეყნებენ ამხ. ტროცკის მხურვალე მისალმებას წითელ ინტერნაციონალის და პროლეტარიატის დიქტატურის პირველ საბჭოსადმი. კონგრესი მქუხარე ტაშის ცემით ეგებება ლენინის და ტროცკის მისალმებას.

კლარა ცეტკინის სიტყვა. გამოდის კლარა ცეტკინი, რომელიც თავის სიტყვას უძღვნის იმ ათასეული პროლეტარებს, რომელნიც იტანჯებიან კაპიტალისტურ ქვეყნების ციხეებში. „გერმანიის იუსტიციის ესდროების მინისტრი, ამბობს ის, ერეკება მათ ციხეებში, საფრანგეთის მეზღვაურები, შავ ზღვაზე აჯანყების გმირები, ჯერ კიდევ იტანჯებიან საფრანგეთის ციხეებში. იმპერიალისტური ინგლისი ანადგურებს სამხრეთ აფრიკის აჯანყებულ მონებს, მუშების დევნა—ეს საერთაშორისო მოვლენაა. ბურჟუაზიის შიში თავის არსებობისათვის იწვევს ამ დევნას. ბურჟუაზიის დევნის პასუხად დაიწყება რევოლიუციონური მოძრაობა ქვეყიდან“.

სხვა და სხვა მისალმებანი. კონგრესისადმი მისასალმებელი მიმოცვლას ამბობენ იტალიის კომპარტიის დელეგატი აზარისი, იაპონიის პროლეტარიატის წინამძღოლი კატაიამა და საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენელი ბერლონი.

დასასრულ კონგრესი იღებს მთელ რიგ მოწოდებებს. პირველი სხდომა იხურება ინტერნაციონალის ჰიმნით

ახლო აღმოსავლეთი

უმაღლეს კომისრების ნოტა.

პარიზი. 9 ნოემბერი. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ მოკავშირეების უმაღლეს კომისრებმა ჩაბარეს ანგორის მთავრობის წარმომადგენლებს ნოტა, რომელშიაც აცხადებენ, რომ თუ კი ქემალისტები არ გააუქმებენ სტამბოლში მიღებულ ზომებს, რომელნიც არღვევენ მუდანიის და მუდროსის კონფერენციას, უმაღლესი კომისრები და მათი მთავრობები იძულებული იქნებიან მიიღონ საჭირო საჩქარო ზომები.

სტამბოლში.

ბორდო. 9 ნოემბერი. მტკიცდება ცნობა იტალიის ფოსტის გაჩხრეკის და შერეულ სასამართლოს გაუქმების შესახებ. „ტანი“ იუწყება, რომ ამ ღამად ხალიფას, რომელიც ინგლისის სამხედრო გემზე იმყოფება არავითარი საშიშროება არ მოელის.

ამერიკის პროტესტი.

ჰანოვერი. 10 ნოემბერი. შეერთებულ შტატების მთავრობა პროტესტს უცხადებს ანგორის მთავრობას სრუტეების დაკეტვის გამო.

უცხოეთის ფლოტი.

ჰანოვერი. 10 ნოემბერი. ჰავასის საგენტო იტყობინება, რომ ამერიკის კრეისერი „პიტსბურგი“ გავიდა გიბრალტარიდან სტამბოლის მიმართულებით. „ჩიკაგო ტრიბუნის“ ცნობით, საფრანგეთის დრედნოუტი „ჟან ბარდტ“ გაიგზავნა სტამბოლში.

უარყოფა.

ბორდო. 10 ნოემბერი. საფრანგეთის საზღვაო სამინისტრო უარყოფს ცნობას, რომ საფრანგეთის კრეისერი „ჟან ბარდტ“ გავიდა სტამბოლის მიმართულებით.

მუხლანი და ახლო აღმოსავლეთი.

ნაუენი. 10 ნოემბერი. მუსოლინიმ იტალ. სახელ. სრული დახმარება აღუთქვა საფრანგეთის და ინგლისს სტამბოლში.

სტამბოლის ირგვლივ

ნაუენი, 10 ნოემ. ლონდონში ფიქრობენ, რომ მდგომარეობა სტამბოლში უფრო სერიოზულია, ვიდრე როდისმე. სულთანი ემზადება ანგორასთან საბრძოლველად.

ბორდო 10 ნოემბ. „დეილი-მეილის“ ცნობით, მდგომარეობა სტამბოლში თითქოს გაუმჯობესდა. მოკავშირეთა მოლიანობამ გავლენა მოახდინა ოსმალებზე და უკანასკნელი ცნობების მიხედვით იმათ შეამცირეს თავიანთი მოთხოვნილებები.

კრეიდონი 10 ნოემ. ლონდონში ახალი მნიშვნელოვანი ცნობები ჯერ არ არის მიღებული. გვაქვს მხოლოდ ცნობა, რომ მოკავშირეებმა გაუგზავნეს ანგორას წინასწარი მოთხოვნილება იმის შესახებ, რათა მან ბოლო მოუღოს შეთანხმების დარღვევას. ალბად საქმე და მთავრდება საბოლოო წესების გამოცხადებით სტამბოლში. საფრანგეთის კორესპონდენტი იუწყება, რომ ქემალისტებმა ჩაიგდეს „აღმოსავლეთ კომპანიის“ კაბელი და რომ ინგლისელი ჯარისკაცი მოკლულია.

ქიაზიმ ფაშა გაემგზავრა იზმიდის ზონაში, მაგრამ ისევ უკან დაბრუნდა სტამბოლში. ინგლისის ჯარებმა სადემონსტრაციო აღლუმი გამართა სტამბოლში. ჯარებმა ხიშტებიანი ვინტოვკებით გაიარეს პერუ. იზმედ ფაშა ანგორაში არ წასულა და რჩება სტამბოლში.

საფრანგეთის მოთხოვნილებანი

ბორდო 10 ნოემ. საფრანგეთის მთავრობამ ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის გართულების გამო მოითხოვა ინგლისისაგან ლოზანას კონფერენციის დაჩქარებით 13 ნოემბერში გახსნა.

უწესობა სტამბოლში

რომი 10 ნოემ. „მესაჯეროს“ ცნობით სტამბოლში ადგილი ქონდა სერიოზულ უწესობებს, რომელიც ევროპიელების წინააღმდეგ იყო მიმართული. ორის დაჭრილები, რომელთა შორის 2 იტალიელი კარაბინერი და 4 ინგლისის ჯარისკაცი.

ჩანაკთან

რომი 10 ნოემბერი. ჩანაკის რაიონში მდგომარეობა ძლიან რთულდება, ვინაიდან ოსმალეთის ეინდარმერიამ გადალახა ნეიტრალური ზონა.

საფრანგეთი არ არის თანახმა

რომი 10 ნოემ. საფრანგეთის მთავრობა არ დეთანხმა ინგლისის მთავრობის წინადადებას ლოზანის კონფერენციის 27 ნოემბრამდე გადადების შესახებ.

დოდეკანეზის საკითხი

რომი 10 ნოემ. იტალიის პრესის ცნობით, იტალიის მთავრობის საპასუხო ნოტაში, რომელიც გაიგზავნა ლონდონში დოდეკანეზის საკითხის შესახებ, აღნიშნულია, რომ იტალიის შეთანხმება როგორც სევრის ხელშეკრულების შედეგი, ავტომატიურად ჰკარგავს ძალას და მისი მოქმედება ზედმეტად უნდა ჩაითვალოს.

ახალი კრეისერები

რომი 10 ნოემბ. ინგლისის საადმირალომ გასცა ბრძანება ორი ახალი კრეისერების აშენების შესახებ, ამასთანავე თვითეული გემის აშენება ჯდება 3 მილიონი გირ. სტერლინგი. გემების აშენება მიენდო კერძო წარმოებებს.

გაზ. „ტანი“ კერზონის სიტყვის შესახებ.

ბორდო 10 ნოემბ. ესაუბრება რა კერზონის განცხადებას გაზ. „ტანი“ ამბობს იმ საერთო ინტერესების რიცხვიდან, რომელიც არსებობს ინგლისსა და საფრანგეთს შორის, ლორდ-კერზონმა პირველ ყოვლისა აღნიშნა, რომ ორივე მხარეს სურს ომის თავიდან აცილება. მისი სიტყვის არც ერთი ადგილი არ არის მოწონების და დახსომების ღირსი.

გერმანია და ანტანტა

რეპარაციის საგანგებო სხდომები.

ჰანოვერი. ნოემბ. 10 „მომავალ სამშაბათიდან დაიწყება რეპარაციის საგანგებო სხდომები საკონტრიბუციო ხელშეკრულებათა და მარკის სტაბილიზაციების საკითხების განსახილველად.

გერმანიის ახალი წინადადება.

ჰანოვერი, ნოემბ. 10. გერმანიის ახალი წინადადება საკონტრიბუციო კომისიისადმი ემყარება ბანკირების ვისერინგის, ბრანდტის და დიუბის მოსაზრებებზე, რომლებიც ლაპარაკობენ, რომ აუცილებელია მოწვეულ იქნეს ამ სახელმწიფოების ბანკების მოლაპარაკების კონგრესი, რომელთაც აქვთ ნორმალური ვალიუტა, ესენ იგი ამერიკის, ინგლისის, ჰოლანდიის და შვეიცარიის, რათა დაარსდეს საერთაშორისო სინდიკატი კაპიტალით არა უმცირეს 500 მილ. მარკისა ოქროთი. სახელმწიფო ბანკმა აგრეთვე უნდა შეიტანოს 500 მილ. ოქროთი. ლონდონის და შვეიცარიის ბანკირებმა გამოსთქვეს სურვილი ასეთ სინდიკატში მონაწილეობის მიღებაზე.

უცხოეთი

საფრანგეთის პრესა კერზონის სიტყვის შესახებ,

პარიზი. 9 ნოემბერი. დღევანდელი პარიზის გაზეთები კმაყოფილებით შეხვდნენ ლორდ-კერზონის სიტყვას და ხაზს უსვამენ კერზონის მიერ გამოთქმულ სურვილს მეგობრული შეთანხმების აღდგენის შესახებ, რაც ევროპის მშვიდობიანობისთვის ქვაკუთხედი იქნება.

ჩინეთი და რუსეთი.

მოსკოვი. 10 ნოემბერი. პეკინის უნივერსიტეტის პოპულიარულმა რექტორმა ძი-ვანპეიმ ამხ. იოფეესთან საუბრის დროს სთქვა: „ჩვენ დავამხობთ მსოფლიო იმპერიალიზმს. ახალი ჩინეთი მოწვეული იქნება რუსეთისა და დიდი რევოლიუციის“. [illegible] ოსტატებმა, რომლებიც [illegible], — ამის გამო დიდი [illegible] ოსტატებმა.

მოსკოვი. 10 ნოემბერი. დიდი ეროვნული ყრილობის მიერ სტამბოლის გუბერნატორად დანიშნულმა რეფიდ-ფაშამ განუცხადა მოკავშირეთა კომისრებს, რომ იგი არა ხელობს მუდანიის ხელშეკრულების და არ დაუშვებს ქალაქზე მოკავშირეების კონტროლს.

— სტამბოლის ზოგიერთ კვარტალებში გაიმართა ქემალისტების დიდი დემონსტრაციები. მინიფესტანტებსა და მოკავშირეთა პოლიციის შორის შეტაკები მოხდა.

— სტამბოლში მდგომარეობა რთულდება. სტამბოლში, სკუტარაში მოხდა შეიარაღებული შეტაკებანი. რაფიდ-ფაშას დიდძალი შეიარაღებული ძალები ჰყავს.

— გაზ. „ჩიკაგო ტრიბუნი“ იტყობინება, სტამბოლის მთავრობა გადადგა. სევრის ხელშეკრულების ყველა ოფიციალურ დოკუმენტებს ანგორის მთავრობის წარმომადგენლებმა კონფისკაცია უყვეს.

ანგორის მთავრობის მოთხოვნილება.

მოსკოვი. 10 ნოემბერი. ანგორის მთავრობამ გადასცა მოკავშირეებს სამი ნოტა, რომელშიაც ანგორის მთავრობა მოითხოვს სტამბოლის ევაკუაციას, სრუტეებზე ოსმალეთის კონტროლის დაწესებას და რკინის გზების ნაციონალიზაციას.

— ანგორის მთავრობას განზრახული აქვს წარადგინოს ლოზანიის კონფერენციაზე შემდეგი მოთხოვნილებანი: ოსმალეთის საზღვრების გამორკვევა ოსმალეთის ნაციონალურ ხელშეკრულების თანახმად, საბერძნეთის მიერ საბჭოთა ზარალის ანაზღაურება, კაპიტულიაციის გაუქმება, ირაკის საზღვრების შეცვლა და ოსმალეთის სრული ეკონომიური და ფინანსიური დამოუკიდებლობა.

ლოზანიის კონფერენციისათვის.

მოსკოვი. 10 ნოემბერი. საფრანგეთის სრულ-უფლებიან წარმომადგენლად ლოზანიის კონფერენციაზე დანიშნულია საფრანგეთის ელჩი რომში ბარერი და ოსმალეთში მყოფი ყოფ. ელჩი ბომბარი.

მუხლანის გამგზავრება.

მოსკოვი. 10 ნოემბერი. რომიდან იტყობინებიან, რომ ახლო მომავალში მუსოლინი გაემგზავრება პარიზში, ლონდონში, ბრიუსელში, რათა უფრო მჭიდრო კავშირი დაამყაროს მოკავშირეებთ. ნ.

ბრიუსელის კონფერენცია.

მოსკოვი. 10 ნოემბერი. 5 დეკემბერს ბრიუსელში გაიხსნება კონფერენცია გერმანიის რეპარაციის შესახებ. ფიქრობენ, რომ კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ, ბონარ-ლოუ, პუანკარე, მუსოლინი და ბელგიის პრემიერი ტენისი.

პოლონეთში.

მოსკოვი. 10 ნოემბერი. არჩევნების დღეს ვარშავის ქუჩებს იცავდა პოლიციის გაძლიერებული დარაჯები. საარჩევნო აგიტაციას აწარმოებდენ უმთავრესად, ებრაელები და პენესოველები. პოლიცია არ აძლევდა აგიტაციის ნებას „ქალაქისა და სოფლის კავშირს“.

აჯანყება კირენაკში.

ჰანოვერი, 10 ნოემბერი. გაზ. „მესაჯეროს“ ცნობით, კირენაიკში სენუსების შორის აჯანყებამ იფეთქა. მთავრობამ გაგზავნა სახმელეთო გემები და ჯარები. იტალიის პრესა გამოსთქვამს შიშს, რომ ეს აჯანყება გავრცელდება მთელ ტრიპოლიტანიაში.

გაფიცულების ხამხახურიდან დათხოვნა.

ჰანოვერი, 10 ნოემბერი. დანციგის გაფიცულ მოსამსახურეთა 75 პროცენტი დითხოვეს სამსახურიდან, გაფიცვის მოხდენისა და ხელფასის გადიდების მოთხოვნისათვის.

ოსეთი

კომუნისტ კოოპერატორების კონფერენცია.

მოსკოვი. 10 ნოემ. კომუნისტ-კოოპერატორების საერთაშორისო კონფერენციის საბოლოო სხდომაზე 1 ნოემბერს კანტორმა მოხსენებაში, საორგანიზაციო კომისიის მუშაობის შესახებ სთქვა, აუცილებელია ადგენა კოოპერატიულ ბაპარატის, რომელსაც დაევალება თვალყურის დევნება და ხელმძღვანელობა პარტიულ ორგანიზაციებში.

მიღებულია პროექტი კომინტერნის აღმასკომში კოოპერატიული „სექციის“ დაარსების შესახებ, რათა დამყარდეს კავშირი სხვა და სხვა ქვეყნების კომუნისტ-კოოპერატორებთან. კოოპერაცია მჭიდრო კავშირში უნდა იყოს სხვა პროლეტარულ ორგანიზაციებთან.

არჩეულია პრეზიდიუმი, პასუხისმგებელ მდივნად აირჩიეს ჩინჩუკი.

კონფერენციაზე მონაწილეობას დებულობდა 35 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 20 დელეგატი სათათბირო ხმით.

ინტერვიუ ამხ. ტროცკისთან.

მოსკოვი. 10 ნოემ. „მანჩესტერ გარდიანის“ კორესპონდენტთან ინტერვიუში ამხ. ტროცკიმ განიხილა საკითხის შესახებ განაცხადა: „ჩვენ შესაძლებლად ვსთვლით სადავო საკითხების, მათ შორის ტერიტორიალურის შეთანხმების გზით მოწესრიგებას. ჩვენ წინადადებას ვაძლევთ შეთანხმებისათვის იაპონიას სახალინის, ხოლო რუმინიას ბესარაბიის საკითხში. განიხილებას ჩვენ არ ვუკავშირებთ რუსეთის ტერიტორიის იარაღით წინასწარ განიარაღებას, ცალმხრივ განიარაღებაზე ჩვენ მხრითაც ახ. აღმოს. საკითხში დიდი უთანხმოება არსებობს: სტამბოლი და სრუტეები ჩვენ გვსურს დაუბრუნდეს ოსმალეთს. მეფის მთავრობას სურდა დარდანელის საშუალებით გასულიყო ხმელთა შუა ზღვაში. ჩვენ გვსურს (დამახინჯებულია)... დიდი-ბრიტანეთის იმპერიალიზმი კარების დაუღებავად მიემართებიან ხმელთა-შუა ზღვით შავი ზღვისაკენ.

სრუტეების თავისუფლება ნიშნავს შავ ზღვაზე იმ სახელმწიფოს სანხედრო დიქტატურას, რომელსაც მოეპოვება ძლიერი ფლოტი. ჩვენ უფრო საჭიროდ მიგვაჩნია სრუტეების ნეიტრალიზაცია. ჩვენ პოლიტიკაში ჩვენ არ ვხელმძღვანელობთ ნაციონალურ სიმპატია-ანტიპატიებით, კაპიტალისტურ ქვეყნების მიმართ ჩვენ ვხელმძღვანელობთ მიზანშეწონილი მოსაზრებით. ჩვენ მზად ვართ აღვადგინოთ ურთიერთობა ინგლისთან და საფრანგეთთან, ერთად ან ცალ-ცალკე. დამოკიდებულება უფრო მტკიცე იქნება იმ სახელმწიფოსთან, რომელმაც გადაჭრით უარჰყო ძველი პოლიტიკა“.

უმაღლესი სკოლა.

მოსკოვი. 9 ნოემ. პეტროგრადში გაიმართა პეტროგრადის სტუდენტობის და წითელი პროფესურის გაერთიანებული კრება. მიღებულია რეზოლიუცია, რომელშიაც მოუწოდებენ სტუდენტებს შემოკრბენ რევოლიუციონური სტუდენტობის და პროფესურის ირგვლივ, რათა გატარებულ იქნეს უმაღლეს სკოლებში ძირითადი რეფორმა ოქტომბრის რევოლიუციისა და მუშათა კლასის ინტერესებთან შეუღარდებით.

მიწის ხელოვნური განოყიერება.

მოსკოვი. 9 ნოემ. ბელორუსიის გლეხების შორის ძლიერდება მისწრაფება მიწის ხელოვნურ განოყიერებისათვის.

პროვინციალური პრესა.

მოსკოვი. 9 ნოემ. „ტულსკი კომუნარის“ ტირაჟი ნოემბერში გაიზარდა 17 ათას ეკზემპლიარამდე, იარაღის და ვაზნის ქარხნები იწერენ საშუალოდ 2 გაზეთს სამ მუშაზე.

მეაბრეშუმეობა.

მოსკოვი. 9 ნოემბერი. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული იტალიაში აწარმოებს მოლაპარაკებას საფრანგეთის მსხვილ მეაბრეშუმეობის ორგანიზაციასთან „ფერანგერტრან“-თან, რუსეთში აბრეშუმის კონცესიის შესახებ. ფირმის მეთაური ამ დღეებში გაემგზავრება მოსკოვში საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად.

ახალი ამბები

— **სახალხო ჯანმრთელობის განყოფილებაში.** დიდი ოქტომბრის რევოლიუციის დღეებში სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის შენობაში შესდგა მიტინგი, რომელზედაც სახ. ჯანმრთელობის განყოფილების გამგის თანაშ. ექიმმა კ. ლ. კიკალეიშვილმა გააკეთა მოხსენება ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის შესახებ.

— **მთავარ საავადმყოფოში.** რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში (ყოფ. ძიხაილოვის) შესდგა კონცერტ-მიტინგი, რომელიც გაიხსნა სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის ექიმის გ. ლ. კუპაიძის მიერ. ექიმ ფრანგულიანის, ოქტომბრის რევოლიუციაზე მოხსენების გაკეთების შემდეგ, დაიწყო მუსიკალურ-ვოკალური განყოფილება, რომელიც საუცხოოთ ჩატარდა. კონცერტ-მიტინგი დიდის აღტაცებით იქნა დასრულებული. დაესწრო 300 კაცზე მეტი, როგორც სამედიცინო პერსონალიდან მთავარ საავადმყოფოსი და ფსიქიატრულ განყოფილებისა და მე-2 და მე-3 ქალაქის საავადმყოფოებისა, ისე ავადმყოფებიც, სამედიცინო პერსონალის რიცხვში დიდათ სჭარბობდა უმცროსი თანამშრომლები. დამსწრეთა შორის სრული თანხმობა და ერთსულოვნება იყო დაცული.

დედისა და ბავშვთა სახლი. დედისა და ბავშის სახლს ეწოდება ამხ. ლენინის სახელობის დედისა და ბავშის სახლი.

— **დიდუბის საავადმყოფო.** დამზღვევ კასსის დიდუბის საავადმყოფოს დარქმეული აქვს ამხ. კაძოს სახელობის საავადმყოფო.

— **ფიზიკო-თერაპევტიული ინსტიტუტი.** სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის ფიზიკო-თერაპევტიულს ინსტიტუტს ეწოდება ამხ. მიხა ცხაკაიას ფიზიკო-ტერაპევტიული ინსტიტუტი.

— **ოქტომბრის რევოლიუციის საავადმყოფო.** 1-ლი ქალაქის საავადმყოფოს (არამიანცის) ეწოდება ოქტომბრის რევოლიუციის პირველი ქალაქის საავადმყოფო.

— **შაუმიანის ბაღი.** ნოემბრის 8-ს შესდგა საზეიმო გახსნა, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, ქალაქის ახალ ბაღისა, რომელსაც დაერქვა სტეფ. შაუმიანის სახელობის ბაღი. ზეიმი გახსნა ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ლადო დუმბაძეკ, რომლის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს საქ. კენ. აღმ. კომ. თავმჯდომარემ ამხ. ფილიპე მახარაძემ, პასუხის მგებელმა მდივანმა ს. პ. ს. კურულოვმა და ქალ. სახ. განათლების გამგე ამხ. ღ. რუხაძემ.

— **ოქტომბრის რევოლიუციის აღსანიშნავად,** ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის აღსანიშნავად სახ. ჯანმრთელობის კომისარიატის შენობაში გაიმართა მიტინგი. მოხსენება ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ გააკეთა ამხ. კიკალეიშვილმა.

— **მთავარ საავადმყოფოში.** მთავარ საავადმყოფოში (ყოფ. მიხეილის საავადმყოფო) შესდგა მიტინგი-კონცერტი. მოხსენებით გამოვიდა ამხ. გ. კუკუიძე. შემდეგ გაიმართა მუსიკალურ-ვოკალური განყოფილება.

— **დედათა და ბავშთა სახლში.** დედათა და ბავშთა სახლს ეწოდა ლენინის სახელობის დედათა და ბავშთა სახლი.

— **ფიზიკო-ტერაპიული ინსტიტუტი.** ფიზიკო-ტერაპიულ ინსტიტუტს ეწოდა ამხ. მ. ცხაკაიას სახელობის ფიზიკო-ტერაპიულ ინსტიტუტად.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** 11 ნოემბერს საღამოს 6 საათზე განათლების მუშათა სახლში (კალოუბნის № 3) შესდგება პედაგოგიურ სექციის სხდომა ამხ. გაკერის მოხსენებით სკოლის ჰასაკის ბავშვის ინტერესების შესახებ. შესვლა თავისუფალია.

13 ნოემბერს საღამოს 7 საათზე ამხ. ზედგინიძე გააკეთებს მოხსენებას „ქართული ანბანის სწავლის მეთოდების შესახებ.

— **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომის მიერ გამოცემული „საქართველო 1921—1922 წლებში“, კრებული წერილებისა და მასალების ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავისათვის, წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს 60.000 მან.

პროვინციის ცხოვრება

ბათომი. რევოლიუციის ხუთი წლის თავი ბათომმა ზეიმით ჩაატარა. ყველა რეზოლიუციებში მუშები ატარებდენ იმ აზრს, რომ საბჭოთა ქვეყნების ნ წლის პოლიტიკა იყო მიზანშეწონილი. რეზოლიუციებით მუშები ესალმებიან კომინტერს;

ქუთაისი. წყალდიდობამ თითქმის წარეცხა მთელი ვარციხე, რომელიც მდებარეობს ხონის წყალის შესართავში რიონთან. სახლების უმრავლესობა დანგრეულია. ცხოველები გაიტაცა წყალმა. წყალდიდობა ისე მოულოდნელი იყო, რომ მცხოვრებლებმა ვერ შესძლო გაქცევა მახლობელ გორაკზე და სამი დღის განმავლობაში ებრძოდენ სიკვდილს ხეებზედ შემჯდარი. აღრიცხულია სამი შემთხვევა ჭკუიდან შეშლის. წყალდიდობის შემდეგ ნაპოვნია ნაპირზე ორი გვამი, ცხენის წყალმა შესცვალა თავისი კალაპოტი.

ჭიათურა. წყალდიდობისაგან დაიტბა 15 მილ. ფუთი მარგანეცი და დაზიანდა 6 მილ. ფუთი. ბაზრის რაიონი ძლიერ დაზარალებულია. დუქნები სრულიად დანგრეულია. დანგრეულია დიდი ხიდი სად. სალიტეტთან სიგრძით 30 საჟენი. სადაც წინეთ მიდიოდა რკინის-გზის ლიანდაგი, ეხლა უკავია მდინარის კალაპოტს. საერთოდ ზარალი დიდია. გზების მოწესრიგებისათვის საჭიროა არა ნაკლებ 3 თვისა. მცხოვრებნი მოწყვეტილი არიან ურთიერთობას ყოველ მხრივ.

ახალ-სენაკი. დანიშნულია შრომის სკოლის მასწავლებელთა კონფერენცია.

ქუთაისი. ქუთაისის ეკონომიური ცხოვრების გაფართოებისათვის აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რომ ქუთაისში გაიხსნეს სართავი ფაბრიკა 400—500 მუშის დატევით. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია. ამ დღეებში ფაბრიკა დაიწყებს მუშაობას. ქუთაისის აღმასკომმა აგრეთვე შესძლო თანხმობის მიღება კომ. საბჭოსაგან, რომ რკინის-გზის ხაზი ტფილის-ბათომისა გაიარს ქუთაისში, რაც ხელს შეუწყობს ქუთაისის აღორძინებას. მიღებულია ზომები წყალ-ტუპოში ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის გაყვანისათვის. სწარმოებს მუშაობა მაზრის მაშტაბით გზების შეკეთებისათვის.

ბათომი. ბათომში პირველად გამოვიდა ბაზარზედ რუსეთის ფქვილი. იყიდება კანადის ფქვილზე იაფად.

სამხატვრო ქრონიკა

რუსთაველის თეატრი. მიმდინარე სეზონში საჭიროა სუფლიორები. მსურველთ განცხადების შემოტანა შეუძლიათ დრამის თეატრის კანტორაში დღის 10—4-დე.

შალვა ამირანაშვილის მოხსენება. კვირას 11 ნოემბერს ხელოვანთა სასახლეში გაიმართება ახალი მწერლობის კავშირის მორიგი საღამო. შალვა ამირანაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ქართული პლასტიკური ხელოვნების ძირითადი საკითხები“- მოხსენების დროს ნაჩვენები იქნება დიაპოზიტივები. შესვლა 10.000 მან. დასაწყისი საღამოს სრულ 7 საათზე.

სახელმწიფო ოპერა. დღეს, შაბათს 11 ნოემბერს „ჯამბაზები“ და ბალეტი „კარნავალი“. მონაწილეობენ ბოკოვა, სტრიჟანოვა, აგრანოვსკი, გორელოვი, კრიჟანოვსკი და სხვა.

საქველმოქმედო საღამო. შაბათს: 11 ნოემბერს თეატრ „კატორში“ (ყოფ. ერმოლოვის ქ.) ობოლ ბავშვების სასარგებლოთ აკადემიურ დასის მსახიობთა მონაწილეობით გაიმართება საღამო-წარმოდგენა. მიდის ქართლელ-იმერლის პიესები: „უკანონო შვილი“ და „ღვინის ბრალია“.

შემდეგ სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, დივერტისმენტი და ცეკვა. დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

მეოცნებე ნიამორები.—რედაქციამ მიიღო ვ. გაფრინდაშვილის რედაქტორობით ქუთაისში გამოცემული „მეოცნებე ნიამორების მეშვიდე წიგნი. შინაარსი—გრ. როგალიძე—ავტომედალინი, გრ. ზოდელი—უცხო თვალები შუაბანდში, პ. ...იაშვილი—ლილი „მეუნარგიას; ლ. ასათიანი—სეზონი უიმედო მგზავრის; ტ. ტაბიძე—ცხენი ანგელოსით, ს. დარიანი—ელისფერი ქოლგა, ს. კლდიაშვილი—ნატურ მორტე; კ. ნადირაძე—მგზავრობა მალაელთან, ვ. გაფრინდაშვილი — საფირონიაშორდია, მისივე—დეკლარაცია; ტ. ტაბიძე—ორპირის ოქროპირი მალდაროი. წიგნი გამოცემულია სუფთად და ღირს 25 ათასი მანეთი.

ფუჟინ—სუმბათაშვილის ჩამოსვლა. კისლავოდსკიდან ა. ი. სუმბათაშვილმა გამოგზავნა წერილი, რომელშიაც იუწყება თავის ტფილისში ჩამოსვლის შესახებ. სუმბათაშვილის ჩამოსვლას მოელიან 18—20 ნოემბერში.

კვირას 12 ნოემბერს, სახალხო სახლში პოლიტ. განათლ. ქართულ დრამატ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მე-2-თ ამ სეზონში ახალი ორიგინალური პიესა ტრ. რამიშვილისა „სტუმარ მასპინძლობა“. მონაწილეობს დასის საუკეთესო ძალები.

პარტიაში

„არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური ბიურო“

კვირას, 12 ნოემბერს, დილის 10 საათზე, საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ცენტრალურ ბიუროში წაკითხულ იქნება მორიგი მოხსენება ამხ. **შალვა ლეჟავას** მიერ **„რევოლიუცია“.**

დასწრება შეუძლია ახალგაზრდათა ორგანიზაციის წევრებს და თანამგრძნობთ.

წრის გამგეობა.

პარტიული ცხოვრება

ხოფ. ინულა (სენაკის მაზრა). შაბათს, ოქტომბრის 14-ს, საღ. 8 საათზე ადგილობრივ შრომის სკოლის შენობაში გაიმართა ორგანიზაციის წევრთა და კანდიდატთა კრება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეამად სოფლად მუშაობა. გაჩაღებულია და მუშისათვის შეუძლებელი ხდება ყანისაგან თავის მინებება, პარტიულ ამხანაგების უმრავლესობა მაინც დასწრო კრებას. მოხსენება გააკეთა ტფილისიდან ახლად დაბრუნებულ ამხ. გ. მუშიშვილმა მიმდინარე მომენტზე. მოხსენება გულდასმით იქმნა მოსმენილი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ოსმალეთის ომმა ბევრ ბნელ ძალებს აღუძვრა ჰორიკანობის მიდა და შავი იმედები. პარტიულ მუშებს ეუბნებოდნენ წვრილფეხა დემაგოგები: ეი, ხომ ხედავთ, საბჭოთა საქართველოს საქმე ცუდად ეწყობა, მოდიან ბერძნები და თან მოყავთ ჟორდახია და წერეთელი, აგრედვე გოგვაძე და ჯუღელი თავიანთ გვარდიელებითო. მართალია, ამხანაგ მუშებიც უპასუხებდნენ შეძლებისდაგვარად, მაგრამ მენშევიკების დემაგოგიურ ლოლიკას მაინც არ ქონდა საზღვარი. ამხ. გ. მუშიშვილის მოხსენებამ საესებით გაფანტა ბურუსი და ამხანაგებიც მიეცნენ დიდ ადტაცებასა და სიხარულს. შემდეგ პარტკომის თავმჯდომარის წინადადებით არჩეულ იქმნა სამაზრო პარტიულ თათბირზე დასასწრებლად პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ა. ...კაკი კუცია და ამხ. გრიშა ხოფერია. და ბოლოს გაცემული იქმნა საწვევრო ბარათები ორგანიზაციის ნამდვილ წევრებზე.

პარტიული მუშაობა საესურველ დონეზეა დაყენებული. ხშირად იმართება კრებები და სწარმოებს მოხსენებების კითხვა მნიშვნელოვან თემებზე. პარტკომიც სდგას თავის მოვალეობის სიმაღლეზე. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ორგანიზაციის წევრთა რიცხვი მხოლოდ ოქტომბრის განძალობაში 25 პროცენტით გაიზარდა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. კ. კუცია.

—

ქ. სენაკი, კვირას, ოქტომბრის 15, ტფანიკუმის შენობაში შესდგა ორგანიზაციის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. გრიშა ხოფერია, მდივნობდა პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. გ. გეგენავა. კრებას დაესწრო თითქმის ყველა ამხანაგები. დღიურ წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) საერთაშორისო მდგომარეობა; 2) ბაბაშის პარტკომის თხოვნა; 3) დელეგატების არჩევა სამაზრო პარტიულ თათბირზე მონაწილეობის მისაღებად და 4) გაზეთის გავრცელების საქმე.

პირველ საკითხების შესახებ ვრცელი და დასაბუთებული მოხსენებით გამოვიდა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. გ. მუშიშვილი. ამხანაგმა დაწვრილებით ილაპარაკა ახლო აღმოსავლეთის ამბებზე და ხაზი გაუსვა ანტანტის იმპერიალიზმის მარცხს. მოხსენება დიდის ყურადღებით იქმნა მოსმენილი.

დასასრულ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. იყო რამოდენიმე შეკითხვაც შემდეგ კრებამ განიხილა ბაბაშის პარტკომის თხოვნა პასუხისმგებელ ამხანაგებისათვის სენაკის პარ—მიდან მანდატების მიღების შესახებ. კრებამ დაადგინა:

მიეცეს ბაბაშის პარტკომის წევრებს დროებითი მანდატები, სანამ ბაბაშის ორგანიზაციას არ ექნება შეძენილი საკუთარი პარტიული ბეჭედი. მესამე საკითხის შესახებ ილაპარაკა ამხ. მ. გეგენავამ. მან აღნიშნა, რომ საჭიროა დროებითი სამაზრო კომიტეტის შედგენა, რათა პარტიულ მუშაობას ფართო ხასიათი მიეცეს და მოფინოს მთელი მაზრა პარტორგანიზაციებით. ამისათვის, თანახმად ისულის პარტკომის მომართვისა, აქტ. სახ. სენაკში გაიმართება თათბირი პარტ. ორგანიზაციების წარმომადგენლებისა დროებით სამაზკომის შესადგენად. ამხანაგი იძლევა ორი დელეგატის არჩევის წინადადებას. კრებამ ერთხმად აირჩია ამხ. მ. გეგენავა და ამხ. ანტონ ნადარეიშვილი. „მეოთხე საკითხს რაც შეეხება, აღნუსხული იქმნა, რომ გაზეთის („ტრიბუნა“) გავრცელების საქმე სასურველადაა მოწყობილი ადგილობრივ აგენტურის მიერ, ხოლო ის გაზეთები, რომელიც მოსდის პარტკომს განაწილებულ იქმნა პარტიულ ამხანაგებს შორის, ღარიბს და მუშა წევრს გაზეთი ეთმობა 25 პროც. დაკლებით. კრება დაიხურა საღამოს 9 საათზე.

ლუხა ხოფერია.

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

ახლო მომავალში საქართველოს მაშტაბით რესპუბლიკის ყველა ქალაქების აღწერა უნდა მოხდეს. ქალაქების აღწერა პირველია ჩვენთვის, ამდენათვე ახალი და დიდათ მნიშვნელოვანი.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის ქალაქის აღწერა ეგზომ გასაკვირველ მოვლენას ადარ წარმოადგენს, რადგან იგი ჩვეულებრივ და აუცილებელ მოვლენად არის ქცეული. ასეთი აღწერები იქ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო და მე-19 საუკუნეში სისტემის ხასიათი მიიღო. საფრანგეთის დედა ქალაქი პარიზის აღწერა 1817 წ. ხდება, რუსეთში—პეტროგრადში კი 1910 წ. აღნიშნულ დროთა შორის მოქცეული პერიოდი რუსეთის შედარებით ჩამორჩენილობას, მათ ქალაქების ცხოვრებათა განუვითარებლობას ადასტურებს. საქართველოში ქალაქების აღწერა 1922 წელს ხდება; ეს წელი ამ მხრით ისტორიული წელია, როგორც მომავალ წელთა შედარების საზომი, ისე საშვალება დროთა გასწვრივ ქალაქების დინამიკის გათვალისწინებისათვის; რამდენადაც მნიშვნელოვანია ეს ფაქტი, იმდენათვე დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა მომავალი აღწერა კარგად ჩავატაროთ და შევსძლოთ რესპუბლიკის ქალაქების მცხოვრებთა სრული აღნუსხვა—მათი სოციალური პირობების გაგება, რაც თავდებია ცხოვრების რაციონალურად მოწესრიგებისათვის; ამისათვის საჭიროა საქართველოს მოქალაქენი დიდი თანაგრძნობით და ინტერესით მოეპყრან მომავალ აღწერას და როგორც დაკვირვების ობიექტმა, ისე თვით სუბიექტმა დაკვირვებისა კარგად გაითვალისწინოს მოსახლეობის აღწერის ძირითადი დებულებანი.

ყოველივე აღწერა, როგორც პროფ. კაუფმანი განმარტავს, არის „ფოტოგრაფია“ მასიურ მოვლენათა, გამოსახვა მათი უმოძრავო მდგომარეობაში; ცხადია, რომ სოციალური მოვლენები მხოლოდ დინამიური სახით გადაიშლება ჩვენს წინაშე; აღწერა ისწრაფვის სოციალური მოვლენების სურათი მოგვცეს.

აღნიშნულ მდგომარეობიდან გამომდინარეობს შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) მოსახლეობის აღწერა უნდა ხდებოდეს დიდი სისწრაფით; იგი „ფოტოგრაფიულად“ უნდა იდგებდეს მოსახლეობის სურათის.

სისწრაფე მოსახლეობის აღწერაში ჩვენ მოგვცემს დაახლოებით უმოძრაობის ასახვას; რაც შემდეგ ჩვენი ანალიზის საგანი შეიქმნება.

სტატისტიკოსთა კონგრესები დადგენილების სახით იმ აზრს ატარებდენ,

რომ მოსახლეობის აღწერა ერთი დღის განმავლობაში უნდა ხდებოდეს; ასეთი აღწერა პირველათ ბელგიამ ჩაატარა 1846 წ. შემდეგ 1897 წ. პრინციპად ერთ დღიანი აღწერა იყო მიღებული.

ტექნიკურად ცხადია, რომ ქალაქის მოსახლეობის, მით უმეტეს დიდი ქალაქების მცხოვრებთა ერთ დღეში აღწერა არ მოხერხდება, მაგრამ მაქსიმუმი აღწერის ერთ კვირას არ უნდა გადასცილდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მთლიან სურათს ვერ მივიღებთ და მასალების დამუშავების შემდეგ მეცნიერული დასკვნანიც შეცდომითი იქმნება, რადგან სოციალურ ორგანიზმზე დროს დიდ სივრცეში სხვა და სხვა მოვლენები მოქმედებენ.

საქართველოს ქალაქები გარდა ტფილისის, შედარებით ისეთი პატარაა, რომ მათი ერთი დღის განმავლობაში აღწერა მოქალაქეთა დახმარებით და ადმწერთა ენერგიული მუშაობით შესაძლოა მოხერხდეს და ეს დიდი მიღწევა იქნება.

2) ზემოდ აღნიშნული დებულება ჩვენ გვასწავლის, რომ მოსახლეობის აღწერა ერთი დღის განმავლობაში უნდა მოხდეს; მაგრამ ეს ერთი დღე სხვა და სხვა დროში კი არ შეიძლება აღებულ იქმნეს, მაგ. ერთი ქალაქი იანვარში აიწეროს მეორე თებერვალში და ასე სხვა და სხვა თვეში, მაგრამ ყველგან აღწერა ერთი დღის განმავლობაში მოხდეს; აღწერის მეორე დებულების თანახმად ერთ დღიანი აღწერა მთელ ქალაქებში ერთსა და იმავე დროში უნდა ხდებოდეს,—მაგალითად ერთ დღიანი აღწერა ხდება საქართველოს რესპუბლიკაში 20 ნოემბერს. ეი, აღნიშნულ დღეს, ყველა საქართველოს ქალაქებში დაიწყება აღწერა და იმავ დღეს დამთავრდა თუ ამის შესაძლებლობა არის.

3) აღწერის მესამე დებულება ჩვენ გვეუბნება, რომ აღწერისათვის ისეთი დრო უნდა აირჩეს, როდესაც მოსახლეობა ნაკლებ მოძრაობაშია; მაგალითად ქალაქების მოსახლეობის აღწერა ზაფხულში შეუძლებელია, რადგან ამ დროს მოქალაქენი საადგილოდ მიდიან, ან სოფლებში სამუშაოთ; არ შეიძლება აგრეთვე უქმე დღეების წინ, რადგორაც მაგალითად, შობისა და აღდგომის წინ და სხვა.

4) მეოთხე დებულების თანახმად შეტუშავებულ უნდა იქნეს მტკიცე ფორმა აღწერისათვის, (განსაზღვრული საკითხების დასმა), მომავალ აღწერისათვის ერთხელ მიღებული ფორმის არსებითი შეცვლა არ მოგვიხდეს.

5) აღწერა უნდა ხდებოდეს ისეთ წლებში, რომელიც 1-ან 0—ბოლოვდება, რადგან დანარჩენ სახელმწიფოებთან შედარების შესაძლებლობა მოგვცეს, ვინაიდან დასავლეთ ევროპაში მოსახლეობის აღწერა ხდება აღნიშნულ წესის დაცვით.

ზემოდ დასახელებული ხუთი დებულებიდან პირველი ოთხი დებულება ტექნიკური ხასიათის არის და მის დაცვა იმდენადვე სავალდებულოა. მომავალ აღწერის დროის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ იგი დამაკმაყოფილებლად არის არჩეული, რადგან ნოემბერი საქართველოში ისეთი თვეა, როდესაც მოქალაქენი ნაკლებ მოძრაობაშია.

დანარჩენ დებულებათა შესრულება დამოკიდებულია მოქალაქეთა დახმარებაზე და თვით აღწერის ორგანიზაციაზე. ამაზე შემდეგ.

გ. მხეიძე.

მოწერილი ამბები

ნატანებ-ოზურგეთ ს რკინის გზა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ფართო საალმშენებლო მუშაობას ჩაუყარა საფუძვლები. საქართველოს მშრომელი ხალხი მთელი თავისი ძალ-ღონით შეუდგა ახალი ქვეყნის აშენებას. ამ მიზნით საბჭოთა მთავრობის მიერ გადადგმულ იქმნა დიდი ნაბიჯები და დღეს დადებითი თვალით უყურებს საბჭოთა ხელისუფლებას ის, ვისაც წინად მისი არაფერი სჯეროდა. საქართველოს მშრომელი ხალხი ერთხელ და სამუდამოთ დარწმუნებული, რომ საბჭოთა მთავრობა ნამდვილი, თავგანწირული დამცველია მუშათა ინტერესებისა, რომ იგი მოსურნეა ცხოვრებაში მშრომელთა დიქტატურის გატარებისა, სასტიკად შეებრძოლება მას, ვინც მშრომელი ხალხის დაჩაგვრისათვის თავდასხმას აწარმოებს მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველ მთავრობაზე.

რა თქმა უნდა მოწინააღმდეგე პარტიებს, საბჭოთა მთავრობის მოუსვენარ მტრებს; არ ახარებს ქართველი ერის შეგნებით გამოწვეული პოლიტიკური გადატეხა და მუდამ შეტევას აწარმოებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი მთავრობა ყოვილთვის მტკიცე და შეურყეველია. იგი სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებებს და წაიყვანს მშრომელ ხალხს აღთქმის ქვეყნისაკენ!..

ჩვენ ვსთქვით, რომ დანგრეულ ბურჟუაზიული ქვეყნის მაგივრად საჭირო იყო ახალი ქვეყნის აშენება პროლეტარულ გემოვნებაზე და ამ მიზნით მშრომელი კლასის მიერ გადადგმულ იქმნა შესაფერისი ნაბიჯები; სწორედ ასეთივე ბრწყინვალე ნაბიჯთაგანია გურიაში რკინის გზის გაყვანა! თუმცა ეს რკინის გზა გაყვანილ უნდა იქნეს დასავლეთ ნაწილში, მაგრამ მე მრწამს, რომ დასავლეთ ნაწილს მალე აღმოსავლეთი ნაწილი ამოუდგება გვერდში და მთელ გურიაში გაყვანილი იქნება რკინის გზა, რომელიც დიდმნიშვნელოვანი დარჩება როგორც გურიის, ისე საქართველოს მშრომელი ხალხისთვინ.

ამ დიდებულ საქმეს სიხარულით ეგებება გურული ხალხი და ყველა ლა დარგის ქართველი მუშა-მოსამსახურე და ცდილობს თავისი წვლილის გაღებას ამ დიად საქმის სასარგებლოთ.

თუ ჩვენ გვინდა რევოლიუციონური გურიის კულტურულად აყვავება და ეკონომიურად აღორძინება, ხელი უნდა შეეწყოთ ამ დიად საქმის დასრულებას!..

აგვისტოს პირველ რიცხვებიდან გამოდის გურიის მუშა ხალხი და ადტაცებული სიმღერებით მიეშურება სამუშაოთ...

ბევრი რამ გააკეთა ამ ცოტა ხანში საბჭოთა მთავრობამ, ბევრი გამოცდილება შესძინა მან ქართველებს და რა თქმა უნდა მშრომელი ხალხის მტრები ამას არ აფასებენ!..

მართალია, საბჭოთა მთავრობასაც აქვს უარყოფითი მხარეები, მაგრამ ეს დღითი დღე სწორდება...

ათასგვარი ჭორები ვრცელდებოდა ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზაზე მუშაობის პირველ ხანებში, მაგრამ დღეს ყოველივე აშკარაა და დღესავით ნათელი.

საბჭოთა მთავრობას ვუსურვებთ ამ დიადსა, მნიშვნელოვან და სასახელო საქმის უნაკლოდ დაგვირგვინებას!..

დ. ივანიშვილი.

თეატრი და ხელოვნება

სახელმწიფო საოპერო თეატრი „ლაკმე"

ეგზოტიური სილამაზით აღსავსეა დელიბას ოპერა „ლაკმე". შეიძლება განახლებულ იქნეს დასში ისეთი მომღერლის ყოლით, რომელსაც აქვს ნამდვილი კოლორატურული სოპრანო, რადგან მთავარი პარტიის კარდინალური მხარე მოითხოვს განსაკუთრებულ ტექნიკას. მოქ. პოპოვამ (ლაკმე) ბრწყინვალეთ დაიჭირა ეს გამოცდა. ოპერის ფაბულა აღებულია შორეულ წარსულიდან და მსმენელი გადაჰყავს ინგლისის ინდოეთის მფლობელობაში. მოქმედება სწარმოებს დიდი აჯანყების დასაწყისის სათავეში 1850 წ., რომელიც მოაწყვეს ინდოეთის ბრამინებმა, ამ ფანატიკოსებმა. ეს აჯანყება სასტიკად იქნა ჩაქრობილი ინგლისის მიერ და ჩვენთვის, სულ სხვაგვარ პირობებში მცხოვრებთათვის, წარმოადგენს ისტორიულ ინტერესს. მაგრამ დელიბამ ასახა მუსიკით ამ ეპიზოდში მონაწილე პირთა სიყვარულის მხარე და მოქმედებაც ისე ექსტაზიური მუსიკით დასწერა, რომ ოპერა ახლაც დიდი სიამოვნებით მოსასმენია. მელოდიები იცვლება ერთი მეორეთი და ისვენებ დღიურ ცხოვრებიდან.

დიდებული ბრამინის ქალიშვილი, მშვენიერი ახალგაზრდა ლაკმე, თავის მამის უფლება მოყვარეობისა და ბრმა ფანატიზმის გამო აყვანილია „ღმერთთა ქალიშვილად" და როგორც ასეთს პატივს სცემს მთელი ხალხი და უნდა დაივიწყოს სიყვარულის ბედნიერებაზე, დარჩეს ქალწულად.

მაგრამ შემთხვევა ახვედრებს ლაკმეს ინგლისელ ოფიცერს, რომელიც შეუყვარდება ქალწულს პირველი სიყვარულით. ბოლოს ორივე ხდება ბრმა ფანატიზმის მსხვერპლად.

ოპერა კარგად არის დადგმული. მთავარ პარტიას ასრულებდა მოქ. პოპოვა და თავისი ხმით ბრწყინავდა ძნელ პარტიის შესრულების დროს. „ლეგენდა პარიას ქალიშვილის შესახებ, ეს უძნელესი არია, სავსე საშინელ ტექნიკით, მომღერალ მოქ. პოპოვას მიერ დიდებულად ჩატარდა, მოგვცა მთელი შადრევანი notes picques stoccato.

მოქ. სარაჯიშვილი ხმაზე იყო. მე უკვე აღვნიშნე, რომ სარაჯიშვილის ნიჭის მთავარი პლიუსია-კონტილენა და როცა ის მღეროდა cello-ს აკომპანიმენტით ორკესტრში (ორივე არიოზო და საფინალო დუეტი) პირდაპირ საუცხოვო იყო, პარტიის სძნელო ადგილებიც მომღერალმა კარგად შეასრულა. პირველი დუეტი ლაკმესთან უფრო ნელა უნდა შესრულდეს.

დიდი წარმატებით მიდის ახალგაზრდა მომღერალი მოქ. თუმანიშვილი. რა კარგი ბარიტონი აქვს, რა მუსიკალობა! მისი ფრაზიროვკა ჩინებულ portomento თი (პირველ აქტში) დიდებულია. სცენიურ მხარეს განვითარება უნდა.

მოქ. შარაშიძე მგონი ნაკლებ ყურადღებას აქცევს როგორც ვოკალურ, ისე სცენიურ მხარეებისათვის დასრულებულ სახეების მიცემის პარტია „სტანსში". ეს თითქმის ერთად-ერთი ნომერია პარტიის მომღერალი კი სრულიად არ განიცდის შესასრულებელს. სასტიკად უნდა აიხაზოს მრისხანე ბრამინის და ავადმყოფ, მწუხარე მამის სახეები, სტანსების შესრულებისას კი ნილოკანტი სწორედ მწუხარე მამაა და ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სიმღერაში.

ორკესტრი ჩინებულად მიჰყავს მოქალაქე ბრონს, მხოლოდ უვერტიურაში ვიოლონჩელთა თემა შესრულებულ უნდა იქნეს ნელ tempo-თი და აუცილებლად legato და არა rubato, როგორც ამას სჩადის ბრონი. კარგი იყო ცეკვა და საერთოდ დადგმის სტილი დაცულია.

—

„დემონი"

ავადმყოფობისაგან გამოკეთების შემდეგ მოქ. დოლონაძე მეორედ გამოვიდა „დემონის" პარტიაში. პარტიის შესრულება ამ ჟამად უფრო დასრულებულად და მხატვრულად უნდა ჩაითვალოს. მომღერლის ხმა უკეთ ისმოდა, მსახიობიც თავისუფლად ხმარობდა მას და ლირიული ადგილებიც კარგად შესრულდა. მეტად საინტერესოა მისი მოსმენა სხვა პასუხისაგებ პარტიებში. თამარას ასრულებდა მოქ. პეტლიაშ ბერიოლიტი. პარტია ლირიულ ტონებშია დაწერილი და უნდა გვეფიქრა, რომ მოქ. პეტლიაშის დრამატიული სოპრანო არ ეფარდება პარტიის ხასიათს. ასეც იყო პირველ აქტში, მეორედან კი მსახიობი ჩავარდა კალაპოტში და მთელი მესამე აქტი დიდებულად შეასრულა. დანარჩენი შემსრულებლები ძველები იყვნენ. რეპერტუარი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 58.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი—უსასყიდლოდ გადასული ქონების შეფასების წესის შეცვლის გამო 1922 წ. ოქტომბრის 1-ს თარიღითა და 54 № რით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

უსასყიდლოდ გადასული ქონების შეფასების წესის შეცვლის შესახებ ამა 1922 წ. ოქტომბრის 1-ს თარიღითა და 54 №-რით გამოცემული დადგენილების 1 მუხლის შესაცვლელად, საქართველოს სოც. საბჭ. რეს. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: ზემოხსენებული მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

1. ქალაქში მდებარე უსასყიდლოდ გადასასვლელი უძრავი ქონების კანონიერ შეფასებად უნდა ჩითვალოს შეფასება, რომელიც მოხდენილ იყო ქალაქის საბჭოს მიერ ომის დაწყებამდე და რომელიც გადიდებულ უნდა იქნეს ოცდა ათი ათასჯერ.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც ქალაქის საბჭოს მიერ არ არის მოხდენილი უძრავი ქონების შეფასება, რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგემ უნდა ნოახდინოს, ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის არქიტექტორის თანდასწრებით, სპეციალური შეფასება, რაც დამყარებულ უნდა იქნეს ცნობაზე ქონების ღირებულების შესახებ შეფასების დროისათვის. ყოველივე ხარჯი არქიტექტორის სასყიდლისათვის უნდა გაიღოს იმ პირმა, რომელიც მიიღებს სამკვიდროს.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ს. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში: ბ. ბაბანეაშვილი,

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი: ალ. სალარიძე.

1922 წ, ნოემბრის 8.

დადგენილება № 472.

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარიატისა. რესპუბლიკებში, ზემოდლეს და საშუალო სასწავლებლებზე სწავლა ფულის გადახდევინების შესახებ გამოცემულ და „მოამბეს" ა. წ. 2 ოქტომბრის 41 №-ში გამოქვეყნებულ დადგენილების შესავსებლად და გასაგებათ ვითარებლად განათლების სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. რესპუბლიკის სამუსიკო სასწავლებლებში სწავლის ფულის გადახდისაგან განთავისუფლებულ იქმნენ მუსიკოსების და ამა სასწავლებელთა მასწავლებლების შვილები.

2. სამუსიკო სასწავლებლების გამგეობისა და პედაგოგიურს საბჭოებს უფლება მიეცათ განსაკუთრებულ შემთხვევაში, მიღებული იქნება რა მხედველობაში მოწაფეთა ნიჭი მეცადინეობაში წარმატების ხარისხი და ყოფა-ქცევა, განათავისუფლოს სწავლის ფულის გადასახადისაგან თავისი დადგენილებით, პირველ მუხლში მოხსენებულ პირთ გარდა, სხვა მასწავლებელთა, ხოლო ისე—კი ამ სახით განთავისუფლებულთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს პირველ კონსერვატორიაში მოწაფეთა საერთო რიცხვს 20 პროც. მეორე კონსერვატორიაში—30 პროც. და სამუსიკო სასწავლებელში—10 პროცენტს.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან.

განათლების სახ. კომისარი დ. კანდელაკი.

საქმეთა მმართველი ალ. მიქაბერიძე.

სპარსელ ქართველების სოფლები

„ქართველ სპარსელების" შესახებ მოკლე ისტორია მე დავბეჭდე პირველად 1895 წ. იგივე წიგნი მეორედ დავბეჭდე 1890 წ. და მესამედ 1906 წ.

1873 წლის ცნობებით სპარსეთის სოფლებში შემდეგი რიცხვი იყო ქართველებისა:

სოფ. მარტყოფი 1200 კომლი, ათური 800; თელავი 900 მოსახლე, ტაშკინაში 500, ახჩა 50, ბოინი 60, მელაანი 100, მაჩხაანი 200, ზემო აკურა 30, ქვემო აკურა 20.

გილანსა და თეირანს აქეთ გზაში არის შემდეგი სოფლები:

პატარძეული 30 მოსახ., ლილო 40, ნორიო 30.

1896 წ. ცნობებით ფერეიდანის თემში სცხოვრობენ ქართველი სპარსელები შემდეგ სოფლებში:

ჯაჯაკი ქართული სოფელი 200 მოსახ., სიბაქი 250, ჩუდურეთი 200, ზემო მარტყოფი 1200, ქვემო მარტყოფი 200, ლიტური 150, ნინო წმინდა 200, შემკანი 150, ტამკენაში 250.

ადგური, ძველად ტუისპირად ეწოდებოდა ამას 100 მოსახ., თელავი ანუ ცოლერი 600, ბოინი 800, ბაფსლი 800, ვაშლოვანი 100.

ბასაბადი ეს სოფელი ამიტდისკენ სდგას. ქართული ენა დაკარგეს.

არზამპოლი, ჩამადანთან ახლოს სდგას ქართული ენა დაკარგეს.

თეირანსა და თავრიზს შუა სდგას შემდეგი სოფლები:

ლილო 100 მოს., ნორიო 200, პატარძეული 300.

ყველა ამათ ქართული ენა დაკარგული აქვთ, ლაპარაკში კი მაინც თავს ქართველ ტომისათ ადიარებენ. ენის დაკარგვაზედაც სწუხან დიდად.

ამ ცნობების გარდა მე მქონდა სხვა ცნობებიც, რომელიც შეიხებოდა სპარსეთში მცხოვრებთ ქართველი სოფლების ცნობებს. ეს ცნობები მე დავსწერე ყარამან კიკნაძის ცნობებით, რომელიც კარგა ხანს სცხოვრობდა სპარსეთში და მას თითქმის მთელი სპარსეთი ქონდა დავლილი და მას სხვა ბევრს ალაგას ენახა ქართველი სოფლები.

ეს წერილი მე 1913 წელს დამეკარგა დაპატიმრების გამო. ამ ცნობებით არის დიდი ძალი სოფლები ქართველებისა, მათში მცხოვრებთა რიცხვი მილიონები არის და არა ასი ათასი.

ზ. ჭიჭინაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

ხვალ, 12 ნოემბერს გაიმართება
დიდუბეში იპპოდრომზე
გაიმართება
დღღი
დასაწყისი დღის პირველ საათზე
შემდეგი დღღი, 19 ნოემბერს.

ორშაბათს, 13 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ძალაძის ალმასკომის შენობაში დანიშნულია
კომუნალურ მეურნეობის, ჯანმრთელობის განეოფილების, განათლების განეოფილების და მუშათა და გლეხთა ინსპექციის
განეოფილების
სექციების სხდომა,
ამხანაგებს ვსთხოვთ გამოცხადდნენ თავის დროზე.
135 2—1 მდივნის მაგივრად თიკანაძე.

ტფილისი 1922 სტამბა „ტრიბუნა" № 2 ტფილისი, ეკონომ. მეურ. საბჭ. ბოლოდგრად ეანყოფ. № 2 სტამბა კონსტანტინეს ქუჩ.